

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს  
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 38

ქ.თბილისი

2016 წლის 12 სექტემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2016 წლის 12 სექტემბერს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში, მდებარე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49ა.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა მატჩის მეთვალყურის თ. სახლთხუციშვილს ოქმი და მთავარი მსაჯის ს. აბულაშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

ამა წლის 8 სექტემბერს გაიმართა „ბ“ ლიგის მატჩი თბ „ხვამლი“-სა და თბ „ხულიგა“-ს შორის. მატჩის მეთვალყურის თ. სახლთხუციშვილის ოქმით, მატჩის მთავარი მსაჯის ს. აბულაშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, თამაშის მსვლელობისას მომხდარ გუნდურ ჩხუბში გამოიკვეთა შემდეგი დისციპლინარული დარღვევები

**თბ „ხვამლი“**

1. ლაშა გოგიშვილი - კონფლიქტის პროვოცირება (წამომწყები).
2. ვატო ყიფიანი - მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.

**თბ „ხულიგანა“**

1. ზურა ფრუიძე - კონფლიქტის პროვოცირება.
2. ვაჟა სირაძე - მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 1.8, 2.2.7, 2.2.8, 3.2, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი N 1-ის 2.8 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

1. კლუბ თბ „ხვამლი“-ს მორაგბე ლ. გოგიშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 3 (სამი) სათამაშო კვირით,
2. კლუბ თბ „ხვამლი“-ს მორაგბე ვ. ყიფიანი დისკვალიფიცირებული იქნას 4 (ოთხი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200 (ორასი) ლარით.
3. კლუბ თბ „ხულიგანას“-ს მორაგბე ზ. ფრუიძე დისკვალიფიცირებული იქნას 2 (ორი) სათამაშო კვირით,
4. კლუბ თბ „ხულიგანას“-ს მორაგბე ვ. სირაძე დისკვალიფიცირებული იქნას 4 (ოთხი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200 (ორასი) ლარით.
5. სადისციპლინო კომისიის მიერ შეფარდებული სადისციპლინო სანქციის ვადაში ჩაითვლება მატჩის მთავარი მსაჯის ს. აბულაშვილის მიერ მორაგბეების ლ. გოგიშვილის, ვ. ყიფიანის, ზ. ფრუიძის და ვ. სირაძის მიმართ გამოყენებული წითელი ბარათით გათვალისწინებული დაყოვნების ვადა.
6. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 2.8 პუნქტი და კლუბ თბ „ხვამლს“ და კლუბ თბ „ხულიგანას“-ს დააკლდებათ 2 (ორი) საცხრილო ქულა თითოეულს.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/